შაბათი, 27 ოქტომბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი — № 236

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდ ხანს არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი წერილები და ფელეტონები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ელისაბედ გიორგის ასული, არტია და ერემია სარინოს ძენი კაპანაძეები (თავზერა) აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—ძისა, ხოლო მეორენი—ძმისა

## ივანე (ვანო) კაპანაძისას

და სთხოვენ მობრძანდნენ დაკრძალვაზე დასასაფლავებლად ამა ოქტომბრის 28 დღესა, ს. ბოსლევს. (1—ფ.—1)

27-ს ამა ოქტომბერს

### ილია ჭავჭავაძის დაბადების მე 70 წლის თავზე

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზში
წერა-კითხვის საზოგადოების მიერ გაიმართება

## სალიტერატურო და სამუსიკო საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ე. გაბაშვილისა, დ. ერისთავი-განდეგილი, ნ. პრესინსკისა, ს. რომანიშვილისა, მ. ძნელაძისა და ნ. ჩხეიძე. ბ-ნნი: გ. ანანიაშვილი, ი. ევდოშვილი, იოს. ბარათაშვილი, ა. იმედაშვილი, არ. ლეისტი, ნ. კურდღელაშვილი, ს. მგალობლიშვილი, კ. მაყაშვილი, დ. ნახუცრიშვილი, ი. ტომაშევიჩი, ცხომელიძე და ფილარმ. საზოგადოების ხორო ბ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ბილეთები იყიდება წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში; 26 და 27-ს კი გაიყიდება არტისტ. საზოგადოების კასაში.

**საღამო დაიწყება სრულ 8 საათზე.**

იბეჭდება და ნოემბრის დამლევს გამოვა

## დროების კალენდარი

**დამდეგი 1908 წლისათვის.**

კალენდარი შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება: **საკალენდრო ცნობები, რუსეთის იმპერატორების გვარტომობა და მათი ქონება, საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატი, ასტრონომიული ცნობები, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინისგზის ცნობები, უცხოეთის სახელმწიფოების ცნობები, პოლიტიკურ პარტიების პროგრამები, სტატისტიკური ცნობები, იურიდიული ცნობები, საექიმო და სამეურნეო ცნობები, შესანიშნავი ამბები** 1905—1907 **წ. მომხდარი და მრავალი სხვა ცნობები.**

კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი

ადრესი: ტფილისი, „იდეალის“ სტამბა „**დროების კალენდრის**“ გამომცემელს.

**ელექტრონის და რენტგენის**
**სამკურნალო კაბინეთი**

### მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—ნ.—29)

ექიმი ქალი

### ს. ზ. მირზოევისა

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით 1½—2½ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—10)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე, ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—209)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათ მდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

### ნ. ა. სტეფანიანცი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—2)

თვალის ექიმი

### ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (30—345—9)

**დოქტორი მედიცინისა**

### გ. გ. გურგენოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიაობის კლინიკისა **გადმოვიდა** გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო საზ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—13)

**ქუთაისში**

კბილის ექიმი ქალი

### ე. დ. ნასარიძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ექიმი

### ა. ნ. დიასამიძე

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

**მ. მ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს **განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს.** სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუბონებს და სხ. უაპერაციოდ **პროფ. ზიერის** მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—20)

ექიმი

### ივ. გომართელი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—1)

## გამოვიდა

ახალი, მეთექვსმეტე გამოცემა

## „ბუნების კარისა“

ბევრად შევსებული: გადიდებულია სალიტერატურო ნაწილი და ახლად ჩართულია ისტორიული განყოფილება, მთავარი ისტორიული პირების პორტრეტებით. იპყრობს 470 გვერდს.

ფასი ისევ **სამი აბაზი** ყდით (6—6)

## „ტფილისის სობრანიეს“

„ტფილისის სობრანიეს“ მამასახლისთა საბჭო აუწყებს საკრებულოს წევრებსა და კანდიდატებს, რომ საკრებულოს ბიბლიოთეკა 27 ოქტომბრიდან ძველი წესრიგით იმოქმედებს. (2—388—2)

## მისაღები ეგზამენები

**ტფილისის საბალოსნო სკოლაში** დანიშნულია 31 ოქტომბრიდან. (4—384—3)

**დაბა ჭიათურა**

ადგილობრივი თეატრი.

შაბათს, 27 ოქტომბერს, ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ **ქ-ნ მ. მდივანის ბ-ნ ვ. დადიანის** მონაწილეობით

დიდებულ მგოსნის **ილია ჭავჭავაძის** დაბადების დღეს წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ქართულ სცენაზე.

I

### ბატონი და ყმა

დრამა 3 მოქ. გადმოკ. მგოსნის მოთხრობიდან „**გლახის ნაამბობი**“ შალვა დადიანის-მიერ.

II

### ა პ ო თ ე ო ზ ი

მგოსნის სურათის წინაშე წაკითხულ იქნება მისი მოკლე ბიოგრაფია და მისივე თხზულებიდან საუკეთესო ლექსები და პოემა.

**მონაწილეობას მთელი დასი იღებს**

ადგილების ფასი 3 მან. 30 კ.-მდე.

**შემოსავალი დანიშნულია ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

წარმოდგენა არ გადიდება.

რეჟისორი **ვ. ლ. ურუშაძე.**

**ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების** გამგეობა. (2—უ—2)

**კვირას 28 ოქტომბერს**

გამოვა ახალი ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო ყოველდღიური გაზეთი

## „ფუარო“

## პირველი კომისია

**მაკართვის ადგილებისა**

ამით უცხადებს თავის ხელის-მომწერლებს, რომ კვირას, 28 ოქტომბერს, 12 საათზე უსათუოდ დაესწრნენ ქალაქის თვით მმართველობის დარბაზში კრებას, სადაც უნდა გადაწყდეს სამოსახლოების თვითეულზე დამტკიცების საქმე და განხილულ იქმნას სხვა და სხვა საჭირო საკითხი. კრება ნება დართულია.

კომისიის მონდობილობით **ბაგრატ.**

## ქუთაისში

**ქალაქის თეატრში კვირას 27 ოქტომბ**

### ილია ჭავჭავაძის ფონდის

გასაძლიერებლად გაიმართება

ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო

დაიბეჭდა და გამოვიდა

გასასყიდად

**გამოცემა წერა-კითხვის საზოგადოებისა**

ილია ჭავჭავაძის სახალხო ბიბლიოთეკა. № 1 „**რჩეული ლექსები**“, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. ფასი 7 კ. № 2. „**კაკო ყაჩაღი**“, ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. . . 5 კაპ.

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა „**განდეგილი**“ და „**დედა და შვილი**“. (3—1)

**იმერეთის** საეპარქიო საქალებო გაზრდილის სასწავლებლის საბჭო აცხადებს, რომ მთავრობის ნებართვით მიმდინარე წლის გიორგობისთვიდან იხსნება ამ სასწავლებელში მეშვიდე კლასი და მსურველთ შეუძლიან თხოვნით მიმართონ სასწავლებლის საბჭოს. კლასში მიიღებიან გამოუცდელად მხოლოდ ის ყოფილი მოწაფენი, რომელთაც კურსი დაუმთავრებიათ ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში, დანარჩენები გამოცდით. თხოვნასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი კურსის შესრულების ატესტატი და მეტრიკული მოწმობა. (3—კვ.—1)

## „ტფილისის სობრანიეს“

მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნ წევრებს და კანდიდატებს, რომ, წინა წლებსავით, „სობრანიეს“ საზამთრო სადგომში კვირაში ორჯელ გაიმართება საოჯახო საღამო—სამშაბათობით და შაბათობით. სამშაბათობით დაუკრავს საზანდარი, ხოლო შაბათობით—ორკესტრი. (2—387—2)

ტფილისი, 27 ოქტომბერი.

ვინ არის ოქტომბრისტი, რა პოლიტიკურ-სოციალურის იდეალების მატარებელია ეს პარტია, რომელსაც ბედმა ანუ, უკეთ ვსთქვათ, სამ ივნისის კანონმა გამარჯვება არგუნა არჩევნებზე და მესამე სათათბიროს სვე-ბედი ჩააბარა? ასეთი კითხვა მოუვიდოდა თავში ბევრს ჩვენებურ მკითხველს, რადგან ჩვენში ნაკლებ იცნობენ ამ პარტიას და რადგან ჩვენს ქვეყანაში მას სრულებით არა ჰყავს მიმდევარი, ყოველ შემთხვევაში სრულიად არავითარი დარაზმული ორგანიზაცია არა აქვს.

როგორც ყოველ პარტიას, ოქტომბრისტებსაც აქვს თავისი ოფიციალური პროგრამა. თუ ამ მხრით დავაფასებთ პარტიას, უნდა აღვიაროთ, რომ იგი არის ლიბერალურ ბურჟუაზიის წარმომადგენელი, მაგალითად ისეთი, როგორიც არიან ნაციონალ-ლიბერალები გერმანიაში და უფრო მეტიც, რადგან ოქტომბრისტების პროგრამა უფრო მარცხნივ მიიწევა, ვიდრე გერმანელ ლიბერალებისა. პირველად ყოვლისა ისინი წმინდა კონსტიტუციის მომხრედ აღიარებენ თავის პარტიას და რუსეთის განახლებას სთვლიან საჭიროდ თანახმად 17 ოქტომბრის მანიფესტისა (სახელიც ამიტომ დაირქვეს „17 ოქტომბრის კავშირი“-სა). რუსეთი საკონსტიტუციო მონარქიად უნდა გადიქცეს, სადაც სათათბიროს თანასწორი საკანონმდებლო უფლება უნდა ჰქონდეს მონარხთანაო. მოქალაქეთ უნდა მიეცეთ პოლიტიკური თავისუფალი უფლებანი სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, კავშირებისა და სხვათ. საარჩევნო უფლებაც უნდა გაფართოვდეს თანახმად საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპებისაო. ადგილობრივი თვითმართველობაც უნდა გაფართოვდეს და, რამდენადაც კი შესაძლებელია, გადემოკრატდეს. ყოველ ეროვნებას უნდა მიეცეს „უფართოესი უფლება თავის ეროვნულ კულტურულ საჭიროებათა და მოთხოვნათა დაკმაყოფილების საქმეშიო“. ასეთი ლიბერალურია პოლიტიკური „მრწამსი“ პარტიისა, ოფიციალურს პროგრამაში გამოთქმული.

არაა ვიწრო არც სოციალური პროგრამმა პარტიისა. აგრარულ საკითხში იგი მოითხოვს „გლეხთა მიწათ-მფლობელობის დაუყოვნებლივ გაფართოვებას“, რისთვისაც სავალდებულოა „ჩამონაჭრების“ გადაცემა, ყველა სახაზინო და საუფლისწულო მიწების გადაცემა და „თუ საჭიროება მოითხოვს“, ზოგგან მემამულეთა მიწების „იძულებით გამოსყიდვაც“ აღიარებული უნდა იყოსო. შემდეგ პროგრამა მოითხოვს მუშათა კანონმდებლობის გაფართოვებას, პროფესსიონალურ კავშირების თავისუფლებას და სხვ...

ბურჟუაზიულ ლიბერალიზმის თვალსაზრისით თუ შევხედეთ, პროგრამა ფართოა და საკმაოდ ლიბერალური რუსეთის თანამედროვე პირობებში. მაგრამ, „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა: შუა უზის დიდი მძლვარი“. ოქტომბრისტების მოქმედებამოღვაწეობის ორი წლის ისტორია უტყუარად მოწმობს, რომ ეს პარტია ძალიან შორს არის იმ პოლიტიკ-სოციალურ იდეალებისაგან, რომელიც პროგრამაში აქვს გამოხატული. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ოქტომბრისტებსა და კადეტებს შორის თითქმის არავითარი განსხვავებაც არ იქნებოდა. მაგრამ ნამდვილად სულ სხვასა ვხედავთ და დღემდის მაინც ეს ორი პარტია სხვა და სხვა გზებით დადიან. მიუხედავად თავის პროგრამისა, ოქტომბრისტები სრულიადაც არ აწარმოებენ ოპპოზიციონურს პოლიტიკას და მხარს უჭერდნენ მთავრობას. პარტიამ, მაგალითად, მოიწონა ისეთი მხეცური ღონისძიება, როგორიც იყო სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღება; მოიწონა პირველ ორ სათათბიროების გარეკვა; „საწუხარო საჭიროებად“ აღიარა სამ ივნისის „coup d'état“-იც, თუმცა ეს აქტი სავსებით ეწინააღმდეგება იმ 17 ოქტომბრის მანიფესტს, რომლის დაცვას თავზედ იღებს. შემდეგ პარტია, ამ ორის წლის განმავლობაში, მხარს უჭერს მემარჯვენე რეაქციონერებს,—იმ რეაქციონერებს, რომელნიც პირდაპირ გამოდიან 17 ოქტომბრის აქტის წინააღმდეგ და თუ არ ჰფიქრობენ სავსებით ძველის რეჟიმის აღდგენას, იმას მაინც არ ჰფარავენ, რომ სათათბირო უბრალო მრჩეველ ორგანოდ უნდათ გადააქციონ. ოქტომბრისტების დახმარებით მოხდა სწორედ ის, რომ მესამე სათათბიროში ასე დიდი იქნება წმინდა წყლის რეაქციონერთა ჯგუფი.

ასეთმა ორპირობამ და ასეთმა რეაქციონურმა „რეალურმა პოლიტიკამ“ სრულებით გაუტეხა სახელი 17 ოქტომბრის კავშირს ინტელიგენციაში და განათლებულ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეჭვი არაა, რომ პარტია ნიადაგს მოიპოვებდა ბურჟუაზიულ ელემენტებში, მტკიცედ რომ მდგარიყო თავის პროგრამაზე. მაგრამ მის ბუნებრივ ნიადაგზე მას შეეჯიბრა უფრო გულწრფელი და მაგარი ოპოზიცია კადეტებისა და წაართვა ლიბერალურად განწყობილი ბურჟუაზიაც-კი; ასე რომ ოქტომბრისტებს დარჩათ მხოლოდ მსხვილ მემამულეთა და მსხვილ კაპიტალისტთა კურიები, სადაც მათ მართლა გაიმარჯვეს. ეს კურიები ერთნაირად ირჩევდნენ ოქტომბრისტებსაც, „მონარხისტებსაც“, „ჭეშმარიტ რუსებსაც“ და მარტო აქედანაც სჩანს, რა ჯურის ლიბერალები და კონსტიტუციონალისტები არიან დღეს გამარჯვებულნი ოქტომბრისტები. თავ. ტრუბეცკოიმ მოსწრებულად უწოდა 17 ოქტომბრის კავშირს „მთავრობის უკანასკნელ განცხადების პარტიის“ სახელი, რასაც დღემდე ეს პარტია სავსებით ამართლებდა. მალე ვნახავთ, გამოიცვლება თუ არა პარტიის ტაქტიკა ახლა, როცა მას სახელმძღვანელო როლი აკუთვნა ისტორიამ...

## ჟურნალისტის გარდენის პროცესსი.

ბატონობასა და სიმდიდრეს ყოველთვის თანა სდევს უსაშინელესი გარყვნილებაც. დიდი სიმდიდრე ხრწნის ადამიანს, რომელიც ჩვეულებრივის, ნორმალურის ცხოვრებით არა კმაყოფილდება, გულის შემზარავ გარყვნილებას ეწაფება და მხეცურ ინსტინქტებს ფართო გზას აძლევს. და რომ ეს ასეა, ამას მჭევრმეტყველურად ასაბუთებს გერმანიის არისტოკრატიისა და დიდკაცების მაგალითი.

გერმანიის იმპერატორის გარს თავი მოუყრია რამდენსამე არისტოკრატს, რომელთაც მთელი თხუთმეტი წელიწადი იმპერატორი თავიანთ ბატონის ქვეშ ჰყავდათ და მთელ გერმანიის პოლიტიკას აწარმოებდნენ. ეს ჯგუფი არისტოკრატებისა გერმანიის ფაქტიურ მმართველად გადაიქცა და ბატონობა ხელთ იგდო. „კამარილია“ მძვინვარებდა. არისტოკრატთა ჯგუფის გავლენა იმდენად ცხადი შეიქნა, რომ ბოლოს საზოგადოებამაც მიაქცია ყურადღება და პარლამენტში ხმა-მაღლა და გაბედულად დაიწყეს ლაპარაკი. საზოგადოება ჰგრძნობდა, რომ გერმანიას ახალი, იდუმალი მთავრობა გაუჩნდა და იმის გაუქმებას თხოულობდა. მთავრობამ, ბიულოვის პირით, უარ-ჰყო ეს ხმები და განაცხადა, რომ გარეშე გავლენაზე ლაპარაკიც კი მეტიაო, მაგრამ ამისთანა განცხადებამ საზოგადოების სინდისი ვერ დააკმაყოფილა.

გერმანელი პუბლიცისტი მაქსიმილიანე გარდენი ხუთი წლის განმავლობაში

თვალს ადევნებდა სასახლის საქმეებს, აგროვებდა მასალას და ბოლოს იერიში მიიტანა იმ პირებზე, რომელნიც გარს ეხვია იმპერატორს. შესაზარი საქმეები აღმოაჩინა გარდენმა. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ისინი პედერასტები ყოფილან. ფლიგელ-ადიუტანტი გრაფი გოგენაუ, ბერლინის კომენდანტი გრაფი მოლტკე და განსაკუთრებით კი იმპერატორის უმახლობელესი მეგობარი და კარის-კაცი თავადი ეილენბურგი კარგა ხნის განმავლობაში სარგებლობდნენ გავლენით და გარყვნილ ცხოვრებას ეწაფებოდნენ. რომ ეილენბურგი პედერასტი იყო, ეს ბისმარკსაც სცოდნია, მაგრამ ვერას გზით თავიდან ვერ მოუშორებია. შემდეგს კანცლერებს კაპრივისა და გოგენლოესაც სდომებიათ ეილენბურგის თავიდან მოშორება, მაგრამ მათ ცდასაც მუქთად ჩაუვლია: ეილენბურგს ისეთი სიმპატია დაემსახურებინა იმპერატორისა, რომ თავიდან არ იშორებდა მას. ეილენბურგი სასახლის პოეტად გადაქცეულა, მემუსიკედ, კომპოზიტორად, სპირიტიზმით ართობდა იმპერატორს, ერთის სიტყვით, სასახლის შინაურ კაცად გადაქცეულა. იმპერატორი სავსებით ამ გარყვნილ კაცის გავლენის ქვეშ იყო და პოლიტიკურ საკითხების გადაწყვეტის დროსაც უჯერებდა ხოლმე.

ასე მიდიოდა საქმე იქამდის, სანამ გარდენმა სასახლესთან დაახლოვებულ პირების გარყვნილება გაზეთით არ გამოააშკარავა. გერმანიის ტახტის მემკვიდრემ გარდენის წერილები უჩვენა მამას, რომელმაც აიძულა გრაფი გოგენაუ, ბერლინის კომენდანტი მოლტკე და თვით თავადი ეილენბურგიც სამსახურისთვის თავი დაენებებინათ. გრაფმა მოლტკემ შეურაცხყოფილად იცნო თავისი თავი და პუბლიცისტი გარდენი ცილის წამებისათვის პასუხის-გებაში მისცა. ეს საქმე შვიდი დღე ირჩეოდა და გამოძიებამ ბევრი ისეთი ფაქტი აღმოაჩინა, რომელმაც ყოველსავე მოლოდინს გადააჭარბა. გარდენმა იერიში მოლტკეს წინააღმდეგ მიიტანა, თუმცა სახეში განსაკუთრებით ეილენბურგი ჰყოლია. ეილენბურგი და მოლტკე დიდი მეგობრები ყოფილან.

გრაფ მოლტკეს ცოლი ჰყოლია, მაგრამ თორმეტი წლის წინად გაჰყრია. მისი ყოფილი მეუღლე, ეხლა კი ქ-ნი ფონ-ელბე, მოწმედ დაუბარებიათ სასამართლოში, სადაც მას განუცხადებია: „როდესაც მოლტკეზე გავთხოვდი, 26 წლისა ვიყავი, ის კი 50 წლისა იყო. ჯვრის წერის შემდეგ მან მხოლოდ ორი დღე გამიწია ქმრობა, მერე კი თავი დამანება. ის ყოველთვის მეორე ოთახში იძინებდა ხოლმე და მაგრად იკეტავდა, რომ შიგ არ შევსულიყავი. ერთის სიტყვით, ძალიან ცუდად მექცეოდა. ეილენბურგს ხომ ყოველთვის „ჩემს ძვირფასს“ და „ფილიას“ ეძახდა ხოლმე. ერთხელ თავად ეილენბურგს ჩვენსას ხელ-სახოცი დაავიწყდა, გრაფმა მოლტკემ გულში ჩაიკრა ის ხელსახოცი, აკოცა კიდეც და მერე სთქვა: „საყვარელი ფილია“...

რომ იმპერატორის გარშემო რაღაც წრე გაჩნდა, ამის შესახებაც ლაპარაკობდა მოლტკე. გარდენის ვექილი ამტკიცებდა, რომ ეს წრე გარყვნილ არისტოკრატებისა პედერასტიას ეძლეოდა და მოწმეებად სალდათებს ბოლგარდტს, ფერენცისა და კრაუზეს ასახელებდა. ბოლგარდტმა, გვარდიის ყოფილმა კირასირმა, განაცხადა: „1895 წელს მე პოლკში შევედი, 1896 წელს კი გრაფმა ლინარმა საზიზღარი წინადადება მომცა“... ბოლგარდტი დასთანხმებულა და ამხანაგთან ერთად წასულა გრაფ ლინარის ვილლაში, რომელიც მარმარილოს სასახლის მახლობლად იმყოფება. იქ, დარბაზში, რამდენიმე კაცი ყოფილა, მათ შორის გრაფი გოგენაუც. დარბაზი ოდნავ ყოფილა განათებული და ამიტომ მოწმემ არ იცის, გრაფი მოლტკეც იქა ყოფილა, თუ არა. გოგენაუ და თავადი ეილენბურგი კი ბოლგარდტს ძალიან კარგად უცვნია. ამ დარბაზში გაზადებულა უსაზიზღრესი ამბავი, რომლის შესახებაც რუსულ გაზეთების კორესპონდენტები დაწვრილებით ცნობებს არ იძლევიან. ასეთივე საზიზღარი საქმეები გამოამჟღავნეს სხვა მოწმეებმაც. ეილენბურგს უნდა დაჰკითხებოდნენ, მაგრამ მან ისეთი მოწმობა წარადგინა ექიმისა, რომ სასამართლოში ძალით მიყვანა შეუძლებელი გახდა. დაეკითხნენ გენერლებს, რომლებმაც განაცხადეს, ეილენბურგი მართლა პედერასტიისთვის დაითხოვეს სამსახურიდანაო.

დაწვრილებით ამ საქმის აღნიშვნა და მოწმეთა ჩვენების მოყვანა შეუძლებელია. ბევრი გაზეთი არც კი ჰბეჭდავს ყველა იმას, რა სისაზიზღრეც სასამართლოში გამოირკვა. აღმოჩნდა, რომ მარტო ზემოხსენებული სამი კაცი არ მისდევდა ასეთ გარყვნილებას და უზნეობას. თურმე მთელი წრე ყოფილა სასახლეში, რომელიც ამის მეტს არას აკეთებდა, სარგებლობდა თავის სიმდიდრით და გავლენით.

ამ პროცესმა თავზარი დასცა მთელ გერმანიის დიდ-კაცობას. უნდოდათ, როგორმე ჩაეფუშათ საქმე, მაგრამ გაბედულმა პუბლიცისტმა თავისი გაიტანა და მთელ ქვეყანას გადაუშალა კარის-კაცთა გარყვნილება.

სასამართლომ გარდენი გაამართლა და ამით იმის მიერ მოყვანილ ფაქტების ჭეშმარიტება აღიარა.

## ახალი ამბავი

✦ **ილია ჭავჭავაძის საღამო.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 27 ოქტომბრისთვის საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში დანიშნულია „ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო და სამუსიკო საღამო“. პროგრამა მეტად საინტერესოდ არის შედგენილი. პირველ განყოფილებაში წაკითხული იქნება ავტობიოგრაფია ილიასი და მოგონებანი (ეკ. გაბაშვილისა, არ. ლეისტის და ირ. ევდოშვილისა) და ლექსები მგოსნის შესახებ. მეორე და მესამე განყოფილება შეიცავს სიმღერებს, ლექსებს და სხვა ნაწყვეტებს ილიას თხზულებიდან. წაიკითხავენ, სხვათა შორის, ზოგიერთ დაუბეჭდავ ნაწარმოებსაც. „საღამოს“ შემოსავალი მიემატება ჭავჭავაძის სახელობის ფონდს.

✦ **დუშეთის საქმე.** 1906 წ. 12 აპრილს, ღამე დუშეთის ხაზინიდან გაიტაცეს 315,000 მანეთი. გამოძიება ამის შესახებ უკვე გათავებულა და საქმე გადაუციათ ტფ. ოლქის სასამართლოსთვის. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემულნი არიან: სამსახურიდან გასული კაპიტანი იოსებ გედევანიშვილი, სამსახურიდან გასული პორუჩიკი ვლადიმერ ცაგარელი, მცხოვრები ტფ. გუბერნიისა აზნაური კოტე მიხეილის ძე ციმაკურიძე, სოფ. სარკვეთის (შორ. მაზ.) გლეხი გიორგი იოსების ძე კიკნაძე, სპარსეთის ქვეშევრდომი იუხან ბეგ აზატოვი, ქუთაისის გუბ. აზნაური არტემ კონსტ. ძე ჩიქოვანი, ტფ. გუბ. აზნაურები ივანე მიხეილის ძე და გიორგი მიხეილის ძე თაქთაქიშვილები, კონსტანტინე ივანეს ძე ციციშვილი, რევაზ არჩილის ძე ციციშვილი, ვახტანგ გიორგის ძე ქართველიშვილი, ლეო და გიორგი კერესელიძენი, ნესტორ სვიმონის ძე მაღლაშვილი, ნიკო ალავიძე, ილია დიმიტრის ძე თაქთაქიშვილი, იოსებ დავრიშევი, ნიკოლოზ ილარიონის ძე კასრაძე, მიხეილ იოსების ძე ყანჩელი და გრიგოლ ილიას ძე გოგელია. აქედან უკანასკნელი ცხრა კაცი იმალება, დანარჩენები თავდებით არიან განთავისუფლებულნი.

✦ **სავალდებულო დადგენილებანი სახელოსნოებში მუშაობა შესვენების შესახებ.** ტფ. ქალაქის საბჭოს კომისიამ ხმ. ალ. მ არგუთინსკის თავმჯდომარეობით შეიმუშავა პროექტი სავალდებულო დადგენილებათა ტფ. სახელოსნო დაწესებულებებში სამუშაო დროს მოწესრიგების შესახებ. პროექტით, ყველა სახელოსნო დაწესებულებაში უნდა იყოს არა უმეტეს 9 საათისა მუშაობა. აქედან ერთი საათი დასასვენებლად მიეცემათ, ხოლო 8 საათი სამუშაო დროდ იქნება დანიშნული. უქმე დღეების წინ მუშაობა 6 საათი უნდა იყოს იმ პირობით, რომ ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლად სწარმოებდეს მუშაობა. ერთ გვარ სახელოსნოებში მუშაობა უნდა დაიწყოს და გათავდეს ერთსა და იმავე დროს. ყველა იმ სახელოსნოში, სადაც მუშაობა იწყება დილის 8 საათამდე, დასასვენებლად მუშებს ერთი საათი მიეცემათ 11 საათზე, ხოლო 8 საათიდან მუშაობის დამწყებთ—12 საათზედ. ზემოდ განსაზღვრულ დროს გარდა საჩქარო სამუშაოების დროს მუშებს სახელოსნოების პატრონებთან შეთანხმებით შეუძლიანთ იმუშაონ კვირა დღეებშიაც: წყლის მილის გამყვან სახელოსნოებში, საკონდიტროებში, მეთორნეებსა და მეფურნეებთან. 17 წლისაზე ნაკლებნი 8 საათიდან 11 საათამდე სრულიად უნდა განთავისუფლდნენ მუშაობისაგან. ყოველს სახელოსნოში გამოკრული იქნება განცხადებები სამუშაოს შესახებ, თანახმად სავალდებულო დადგენილებათა. კომისიამ დაადგინა აგრეთვე, შუამდგომლობა აღძრას ქალაქის საბჭოს წინაშე, დაწესდეს განსაკუთრებული ინსპექცია, რომელიც თვალყურს ადევნებს ამ სავალდებულო დადგენილებათა შესრულებას; ეთხოვოს აგრეთვე ქალაქის საბჭოს, რადგან დადგენილების მე-5 მუხლის ძალით, უფლება ეძლევა მცირე წლოვანებს სამი საათი დღეში დაისვენონ, დაარსებულ იქნეს ქალაქის ყველა უბანში ისეთი სახელოსნოები, სადაც მცირე წლოვანებს თავისუფალ დროს ასწავლიან სპეციალურ საგნებს. პროექტი განსახილველად წარედგინება ქალაქის საბჭოს.

✦ **ნავთიანი ადგილები.** გუშინ, ტფ ქალაქის გამგეობის დადგენილებით, ოთხი ტეხნიკოსი წავიდა ნავთლუღში იმის გამოსაკვლევად თუ რამდენად მდიდარია ნავთი ქალაქის ადგილებისა, რომელიც იჯარით აქვს აღებული მარქაროვს.

✦ **ჩხრეკა.** როგორც ვწერდით, 25 ოქტომბერს პეტრე დიდის ქუჩაზე პოლიციამ გაჩხრიკა საკრედიტო საზოგადოების გამგის ლამბაროვის სახლი. სახლის ჩხრეკა გუშინ საღამომდე გაგრძელდა. არ დასტოვეს არც ერთი კუნჭული გაუჩხრეკავი. დაათვალიერეს სახურავი, ბუხრები, სარდაფები, ეზო. როგორც გავიგეთ, რამდენიმე კაცი მოსამსახურეთაგან დააპატიმრებიათ. მიზეზი ასეთ მეყაით გაჩხრეკისა ვერ გავიგეთ.

✦ **სამხედრო-საოლქო სასამართლო.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს ტფილისის მაზრის სოფ. წყრულეთის მცხოვრები გაბრიელ აფციაური, რომელსაც ჰბრალდება ოთხის სტრაჟნიკის მოკვლა (1905 წ.), აგრეთვე სხვა მკვლელობანი, თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა.

✦ **ახალი გამოცემა „ბუნების-კარისა“.** მოგვივიდა ახალი, მეთექვსმეტე გამოცემა, იაკობ გოგებაშვილის „ბუნების-კარისა“. ავტორს საკმაოდ შეუვსია ეს ახალი გამოცემა და შეუტანია შემდეგი ცვლილებანი: საბუნების მეტყველო განყოფილებანი მცირედ შეუმოკლებია, სალიტერატურო [illegible] ჩაურთავს ახალი განყოფილება—მოთხრობანი საქართველოს [illegible] წიგნი შესამჩნევად გადიდებულა, მაგრამ ფასი წინანდელი დარჩენილა—სამი აბაზი.

✦ **დაჭრა.** 25 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, ნაძალადევში რომანოვსკის ქუჩაზე, ვიღაცამ რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა რკინის გზის სახელოსნოების მუშას პეტრე სონინ სონინი. დაჰკრა ხელსა ზურგსა, მარჯვენა გვერდში და ბეჭში. დაჭრილის მორჩენა საეჭვოა. სონინი საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **ცეცხლი დეპოში.** 25 ოქტომბერს, ღამის 11 საათზედ რაღაც მიზეზით ცეცხლი გაუჩნდა რკინის გზის დეპოს შენობას. საყვირისა და მატარებლების ხმამ ყველანი ფეხზე დააყენა. უხვად მიუშვეს წყალი და ცეცხლი მალე ჩააქრეს.

✦ **შემოწირულება.** ხარბინიდან შემდეგი წერილი მივიღეთ: „გთხოვთ ეს ჩემ მიერ შეგროვილი ფული გადასცეთ აკეთის ბიბლიოთეკის გამგეს, რომელსაც ვთხოვ მოახმაროს თავის შეხედულების გვარად წიგნთ-საცავ სამკითხველოს. შემომწირველთა სია: ილაკრი აფხაზავა 5 მ., პარმენ მშვიდობაძე 3 მ., ივანე მენაბდე 3 მ., ილარიონ თოდუა 2 მ., მელქისადეკ მენაბდე 2 მ., კოლა რატიანი 2 მ., მიშა მაღლაკელიძე 2 მ., თითო მანეთი: მიხეილ მახარაძე, ნესტორ სილაკაძე, პორფილე აბესაძე, ბესარიონ ჩაჩუა, კვირიასი ჩხაიძე, ელიზბარ გვაზავა, პეტრე თალაკვაძე, ანტონ ძნელაძე, გრიგოლ დოლიძე, პეტრე ყაჭეიშვილი, შარო ბოლქვაძე, სერგო ქანტურიშვილი, გერასიმე ხელაია, ივანე ნაეიშვილი, უშანგი სულავა, ვლადიმერ კილასონია, გრიგოლ გიორგაძე, ირაკლი გოგიაშვილი, ილიკო ლოლოტი, ვანო გომართელი, თედორე დანელია, ნოვე ურუშაძე, დათა ებრალიძე, კოწია მელიქაძე, იესე წილოსანი ლაზარე ჯორბენაძე, გორცოგ-შტეინ, ი. შუხმანი, ი. ვერნიკოვი, ანა სახნენკო, ფ. მიშალოვიჩ, მ. მუკავოზოვი, ა. ზარიანოვი. სულ შესდგა 53 მანეთი. შემომწირველთ ვუცხადებ უღრმეს მადლობას. ილაკრი შავარდენიძე, აფხაზავა“. ეს ფული წერა-კითხვის საზოგადოებას გადავეცით დანიშნულებისამებრ გასაგზავნად.

✦ **რა პარტიას ეკუთვნის დეპუტატი თავ. პრ. შერვაშიძე.** როგორც „ზაკ.“ გადმოგვცემს, ბათუმისა და ყარსის დეპუტატს თავ. შერვაშიძეს პეტერბურგს დეპეშა გაუგზავნია და უცნობებია სახ. სათათბიროს კანცელარიისთვის, რომ მე მშვიდობიან განახლების პარტიას ვეკუთვნი და ადგილი ამ პარტიის წევრებს შორის დამითმეთო. ეს პარტია კადეტებსა და ოქტომბრისტებს შუა სდგას.

## ფელეტონი

### ცოტა რამ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას წიგნის შესახებ

(შემდეგი *)

რევოლიუციასა და რევოლიუციათა ისტორიაზედ ხომ ისეთი წარმოდგენა აქვს ბ-ნ ნ. ჟ—ნიას, როგორიც თქვენ მორჩილ მონას ჩინურ ლიტერატურაზედ. აქაც ისეთივე არევ-დარევაა ცნებათა, ისეთივე უცოდინარობა ისტორიულ ფაქტებისა. მაგალითად, ნ. ჟ—ნიას რევოლიუციონური მთავრობა და პარიზის კომმუნა ერთი და იგივე ჰგონია. აი, რას ამბობს ამაზედ თვით კომმუნარი ლეფრანსე: „კომმუნის წევრთა დიდმა უმრავლესობამ მოიწონა შარლ პელეს განცხადება,—29 მარტს საბჭოს პირველი თავმჯდომარისა. კომმუნის გამგეობაში უნდა იყოს, რაც შეეხება კომმუნალურ ინტერესს—მხარის გამგეობაში უნდა იყოს, რაც შეეხება მხარის ინტერესს—ერის გამგეობაში უნდა იყოს, რაც შეეხება ერს“.

მაშასადამე, არც კონსტიტუცია, არც კანონი, რომელიც მხოლოდ რამდენისამე ინტერესთა გარანტიას იძლევა; არც მთავრობა, საპარლამენტო თუ არა საპარლამენტო, რომელიც თავის საკუთარ აზრებს მთელ ხალხს ახვევს,—აზრებს, რომელიც ძალა-უნებურად და ყოველთვის რეაქციონურია,—არამედ მთელი წყება **მორიგებათა, შეთანხმებათა**, რომელნიც თავისუფლად ირჩევიან და იკვრიან, რომელნიც მიდიან ინდივიდიდან ერამდის და რომელნიც თვითოეულს პირს აძლევენ მოქმედების სრულ თავისუფლებას, მაშინ როდესაც ეს მოქმედების თავისუფლება კიდევ უფრო გაძლიერებულია იმ კოლლექტივურის ძალით, რომელსაც ინდივიდი თავისუფლად მიეკედლება“ (C. Lefrançais, La Commune et la Révolution, p. 33.—იხილე აგრეთვე მისი წიგნები: Essais sur un mouvement Communaliste და Souvenirs d'un révolutionnaire“.) [მართლაც, კომმუნას არავითარი მსგავსება არა ჰქონია „დიქტატურასთან და სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებასთან.“ ეს უკანასკნელი ძველი იაკობინური ტაქტიკაა, ბლანკიზმისაგან უკიდურესობამდის მიყვანილი და მარქსიზმის მიერ გადმოღებული უკრიტიკოდ (შეიძლება ესეც მარქსიზმის მოგონილი ეგონოს ბ-ნ ნ. ჟ—ნიას!). კომმუნა-კი იყო ნამდვილი „ხალხის ორგანიზაცია“, თუ გნებავთ ნამდვილი „ანარქია“, სადაც მთავრობისა და სახელმწიფოს მსგავსი არა იყო რა, მიუხედავად იმისა, რომ იქ არჩევნებიც იყო და ჯარიც. საქმე არჩევანი და ჯარი კი არ არის, არამედ ის, თუ როგორი წესის **სოციალურ** სფერაში მოქმედებს არჩევანიცა და ჯარიც. თუ არჩეული კაცი, იმპერატიული მანდატითაც კი, კანონს მიწერს, რომელსაც ასი მილიონი ადამიანი უნდა დაემორჩილოს—იგი მთავრობაა, სახელმწიფოა; მაგრამ თუ არჩეული კაცი ჩემი მომრიგებელია, შუამავალი ჩემ მოძმეებთან საერთო საქმის გასაკეთებლად და მას არა აქვს უფლება თავისი გადაწყვეტილება **თავზე მოახვიოს** მაშინაც-კი, როცა თითქმის **ყველა წინააღმდეგია ამ ერთი მუჭა არჩეულთა გადაწყვეტილებისა**,—ჰქრება მთავრობაცა და სახელმწიფოც. სწორედ ეს ხასიათი ჰქონდა პარიზის კომმუნას და სრულიად წინააღმდეგ საერო კრებას, კონვენტს დიდი-რევოლიუციის დროს, აგრეთვე 1848 წლის საერო კრებას. დიდი-რევოლიუციის დროს ყოველ პარტიას, რომელიც კი ჩაიგდებდა ხელში სახელმწიფო ძალას, თავისი თავი რევოლიუციის წარმომადგენლად მიაჩნდა, **ყოველ შემთხვევაში**; მისკენ იყო ხალხი თუ არა, ეს იმისთვის სულ ერთი იყო. ამითიც აიხსნება ამ რევოლიუციონურ მთავრობათა მუდმივი კონფლიქტები ხალხთან. მოიგონეთ პარიზის კომმუნისა და ასეთ პარტიათა შორის ბრძოლა, ჟირონდისტების, განსაკუთრებით ბრისსოს ზიზღი ამ კომმუნისადმი, გლეხების ამოჟლეტა თითქმის საფრანგეთის ყველა პროვინციაში ახალ მთავრობათაგან, რეაქცია 1791—1793 წლამდის, შაპელიეს კანონი 1791 წლისა და კიდევ ვინ იცის რამდენი საინტერესო ეპიზოდი საფრანგეთის რევოლიუციისა; მოიგონეთ რევოლიუცია 1848 წლისა, როცა ხალხი ვერ დააკმაყოფილა საერო კრებამ, „რესპუბლიკამ“ კი დახვრიტა იგი პარიზის ქუჩებზედ. მოიგონეთ დემოკრატ ლედრიუ როლლენის ფრაზა, ნათქვამი „კუდეტას“ შემდეგ ლონდონში—მთავრობას ნება ჰქონდა თავის დაცვისა და მანაც ღალატი უყო თავისი მოვალეობაო! **მთავრობას, დიახ, მთავრობას**, რომელიც ყოველთვის სასტიკია, როცა იმის ხელში ჯარი და პოლიციაა—სახელმწიფო ძალაა!] იქნებ იფიქროს ვინმემ—ესენი ბურჟუები იყვნენო! თქვე დალოცვილებო, რა გარანტიაა, რომ, მაგალითად, რუსეთის საერო კრება საფრანგეთისაზედ უკეთესი იქმნება, უფრო ზნეობრივი და ჭკვიანი? რა გარანტიაა, რომ მომავალი სოციალისტური დიქტატორებიც ამ ბურჟუებზედ უფრო ჭკვიანები და უმანიურნი იქმნებიან?—არავითარი! მხოლოდ ს—დ—ების ფრაზები, რომლითაც ძლიერ ადვილად სწყდება ყველა ეს საკითხი,—საკმარისი არ არის ამაში დავრწმუნდეთ. აქაც, ჩვენშიაც ვიცით ძლიერ ბევრი რამ, რაიცა სულ წინააღმდეგს გვიმტკიცებს!..

[პირიქით—პარიზის კომმუნა და იქ მომქმედი „ანარქისტები“, კორდელიერები, ჰებერტისტები და სხვები—ესენი იყვნენ ნამდვილი „ორგანიზატორები“ რევოლიუციისა, ესენი აიძულებდნენ „მთავრობას“ სულ არ ჩამხრჩვალიყვნენ რეაქციაში, მაგრამ ამ „მთავრობამ“ ბოლოს და ბოლოს თავისი გაიტანა და თავის „დიქტატურითა“ და „ცენტრალიზმით“ 9 თერმიდორამდის მიიყვანა საფრანგეთი და შემდეგ ნაპოლეონს დაუდგა იმპერატორის ტახტი. რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაც მთავრობის საქმე არ იყო ისე, როგორც თვით ქალაქებისა და სოფელთა კომმუნებისა, საიდანაც ისეთი ენტუზიაზმით მოდიოდნენ „მამულისშვილნი“, რომ მთელი ევროპის ჯარებს თავზარი დასცეს. ოლარი ამბობს, საფრანგეთის ზღვის ნაპირების ქალაქები **თავისით** ისე მოეწყვნენ რეაქციასთან საბრძოლველად, ინგლისისა და ესპანიის წინააღმდეგ, რომ კოლლექტივისტურადაც კი მოაწესრიგეს თავიანთი გამოკვების საქმეო.] არა, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, თუ თვითოეულ სოფელში, თვითოეულ ქალაქში არ არის თავისუფალი მოქმედება, ინიციატივა თვით „ინდივიდებისა“, სულ ტყუილია რევოლიუციონური მთავრობა, იგი „ხალხის წინააღმდეგ მიდის ყოველთვის, იგი ვერც რეაქციას ებრძვის, თვით ხდება რეაქციონურად, და ვაი იმ ხალხს, თუ „ახალმა მთავრობამ“ ამ ხალხთან კონფლიქტში გაიმარჯვა,—მაშინ ხალხის ჟლეტა აუცილებელია, როგორც ეს ძლიერ კარგად იგემა საფრანგეთის ხალხმა 1848 წელს; ისეთი კაცებიც ამართლებდნენ ამ ჟლეტას, რომლის სახელის ხსენების ღირსიც არაა ბევრი ს. დ—ი!

[პარიზის კომმუნასაც (1871 წ.) არავითარი საერთო არა ჰქონია რა ასეთ „რევოლიუციონურ მთავრობასთან“. იგი ორგანიზაცია იყო ხალხისა, პარიზის ხალხისა, რომლის ნაწილებიც ერთმანეთს „კონტრაქტით ეკროდნენ“ კომმუნის სეანსებზედ, რომლის „დეპუტატებიც“ არ იყვნენ კანონ-მდებელნი, არამედ საქმის გამკეთებელი ადმინისტრაცია, ამორჩეული კომისსია—თუ გნებავთ. როდესაც შემდეგ ამ კომისიის ნაწილმა მართლაც მოინდომა პატარა მთავრობის მოწყობა, მას წინააღუდგნენ მრავალნი, განსაკუთრებით ვარლენი, ვერმორელი, ლეფრანსე და სხვანი—ნამდვილი „კომმუნალისტები“. ასე უნდოდა პარიზის ხალხს მთელი საფრანგეთის „კომმუნათა“ მოწყობა,

პარტიაში იყო, სხვათა შორის, გრაფი გეიდენი და არიან დღეს შიპოვი, სტახოვიჩი და სხვანი.

◆ **სიღნაღის მამასახლისის და რწმუნებულთა გადაყენება.** ტფ. გუბერნატორის განკარგულებით, თანამდებობიდან გადააყენეს ქალაქ სიღნაღის მამასახლისი ვართან ენიკოლოფოვი და რწმუნებულნი სტეფანე ასრიტოვი, ნიკ. ყორღანოვი, იაგორ აკოფოვი და საქულ ამირალოვი. ესენი კანონთა დებულების მე-1540 და 1542 მუხლების ძალით სამართალში არიან მიცემულნი.

◆ **გუბერნატორის ჩამოსვლა.** გუშინწინ უკვე ჩამოვიდა პეტერბურგიდან ტფილისის ახალი გუბერნატორი მ. ა. ლიუბიჩ-იარმოლოვიჩ-ლოზაინა-ლოზინსკი.

◆ **ახალი გაზეთი.** კვირას, 28 ოქტომბერს, ტფილისში გამოვა ახალი ქართული გაზეთი „წყარო“.

◆ **ბებია ქალთა ურთი-ერთ დამხმარებელი საზოგადოება.** 28 ოქტომბრისთვის საბებიო ინსტიტუტის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ბებია ქალთა ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: 1. დაიხუროს თუ არა სამშობიარო სახლი; 2. მოწყობა საფერშლოს კურსის ლექციებისა.

◆ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა ხაიმ ფიჩხაძეს.

◆ **უმაღლესი კურსები.** ხვალ, კვირას, დილის 11 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდ. ბაღი), გ. თუმანიშვილი წაიკითხავს მეორე ლექციას მიწისმფლობელობის კანონებზე კავკასიაში (ხიზნების შესახებ).

◆ ანანოვის სკოლის დარბაზში სომხურს ენაზე დღეს ლექციებს წაიკითხავენ ქ-ნი ზოჰრაბიანი, ედ. ბაბაიანი და ექიმი გ. არწრუნი.

◆ 28 სექტემბერს 12 საათისთვის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია კრება მაკაროვის ადგილების პირველ კომისიის ხელის-მომწერთა.

◆ მიგვიღია ოქტომბრის ნომერი (მეათე) საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა“. შინაარსი: „პატარა მკითხველს“, (ილია ჭავჭავაძის სახსოვრად), ლექსი ქოჩოსი; „თავის საკუთარი“, თარგმანი; „მარიამის კვნიტი“, (ფრანგულიდან) შურასი; „თავლის ჯეკი“, (თარგ. ჟურავსკიდან) ტასოსი; „მეზვრე“, ამბავი ი. ევდოშვილისა; „გულწითელა“, ლექსი თეოფ. კანდელაკისა; „როგორ ზრდიან პირუტყვები თავიანთ შვილებს. სპილო“, ა. ფ—ვასი, წვრილმანი: ანდაზები, შარადა, რებუსი და სხვა. „ილია ჭავჭავაძის დღე“; „ბაზალეთის ტბა“, ხე და დუარსაბ თათქარიძის სახლ-კარი“; „განთიადი ახალ ცხოვრებისა“, (გაგრძელება), ნ. კასრაძისა; „შემოდგომაზე“, ლექსი იასამანისა; „უბედო ბავშვი“, მოთხრობა მანგომერისა, თარგ. ელ. წერეთლისა; „დარიბების მეგობრები“, (გაგრძელება) ივ. გომართელისა.

◆ პეტრე დიდის ქუჩაზე 24 ოქტომბერს, ანნა ზაკუტოვმა დალია კარბოლის სიმჟავე. მოწამლული ქალი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც ქალი ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ სასამართლოს ქუჩაზე 25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა სარდაფიდან სასამართლოს დაწესებულებებს. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და მქრობელმა რაზმმა ჩააქრო.

◆ გორონცოვის ქუჩაზე პოლიციის მე-6 ნაწილში, ხალათოვის ქარვასლის პირდაპირ, ტრამვაის ვაგონს ქვეშ გასქდა პეტარდა. ხალხი შეშინდა.

◆ 25 ოქტომბერს, სადამოს 7 საათზე, ტემნი ქუჩის შესახვევში მცხოვრებ ახალციხის მოქალაქეს იაკობ ხოსიტაშვილს სახლში შეუვარდა ოთხი შეიარაღებული კაცი, წაართვეს 25 მან., ვერცხლის ქამარი და მიიმალნენ. პოლიციამ დააპატიმრა განჯის გუბერნიის მცხოვრები გერასიმ ჩუბიკინი, რომელსაც რევოლვერი აღმოაჩნდა.

◆ 25 ოქტომბერს კვირაცხოვლობის ქუჩაზე სადამოთი რამდენსამე კაცს გაუტეხია ილარიონ ეძგვერაძის სახლი და გაუტანიათ ნივთები 150 მანეთისა და ფული 159 მან. 50 კაპ.

◆ 24 ოქტომბერს წყნეთის ქუჩაზე, ჩამალოვის ფურნეში შევარდნენ შეიარაღებული მძარცველები. მეფურნეს მოსთხოვეს ფული. მძარცველებს 25 მან. წაუღიათ. ეს ამბავი განაცხადა პოლიციაში ჩამალოვის ნოქარმა სერგოვ კელემ-ოღლიმ. გამოირკვა, რომ ფული თვით ნოქარს მიუთვისებია და მძარცველებისათვის გადაუბრალებია. სერგოვი პასუხის გებაში მისცეს.

◆ 25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, ფოთისა და ელისაბედის ქუჩების შესართავთან მთვრალ ლეკს ისაკ ხაჯი-მაგომედ-ოღლის და ტულის გუბერნიის მცხოვრებს გრიგოლ პლეშაკოვს ჩხუბი მოუვიდათ. ლეკმა დასჭრა პლეშაკოვი. დამჭრელი დააპატიმრეს.

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ვლადივოსტოკი.** ილია ჭავჭავაძის დაბადების დღისთვის გიგზავნით ათ თუმანს დაუვიწყარ მგოსნის სახელობაზე შემდგარ ფონდის გასაძლიერებლად.

**ვლადიმირი იმერლიშვილი.**

## პრესსა

—:—

„ჩერნომ. ვესტნიკ“-ის სოხუმელ კორესპონდენტის სიტყვით, სოხუმში ამ ჟამად ავრცელებენ შემდეგ უცნაურ მოწოდებას:

აფხაზთა წარმომადგენელნი (sic) გიწვევენ თქვენ დაესწროთ აფხაზეთის მრავალ საუკუნეთა ისტორიაში ჯერ უნახავს ამბავს: ღვთისმსახურებას პირველად აფხაზურს ენაზე. პირველი ლიტურგია აფხაზურს ენაზე შესრულებული იქნება გუდაუთის ნაწილის სოფელ ლიხნის უძველეს ეკკლესიაში 6 ნოემბერს, ხოლო მეორე 13 ნოემბერს კოდორის ნაწილში.

ამ მოწოდებას ხელს აწერენ თურმე „აფხაზთა წარმომადგენელნი: ლადარიები: მღვდელი ლადარია, მემამულე ლადარია, აზნაური ლადარია და კიდევ მეოთხე ლადარია...

* * *

პოლონეთის „კოლოს“ ბელადი დმოვსკი თავის პარტიულ გაზეთში სწერს შესახებ პოლონეთისა და რუსეთის ურთიერთობისა:

ურთიერთობა ჩვენსა და ბიუროკრატიულ ცენტრალისტურ რუსეთის მთავრობას შორის კარგა ხანია ნათლად გამოირკვა. მეორე სათათბიროს დათხოვნამ და 3 ივნისის კანონმა ეს ურთიერთობა უფრო ნათლად გააშუქა და გაარკვია.

თვითონ რუსის ხალხისა დმოვსკის არ ეშინიან. ის თანაუგრძნობს მას იმდენად, რამდენადაც რუსის ხალხი ებრძვის ცენტრალისტურ ბიუროკრატიას და ცდილობს რუსეთში თანასწორობისა და კანონიერების დამყარებას. დმოვსკის მოჰყავს მაგალითი კონსტიტუციონურ გერმანიისა, სადაც პოლონელებს საშინლად სდევნიან და ამტკიცებს, რომ რუსეთში ასეთი ამბები შეუძლებელია.

რუსების მდგომარეობა რუსეთში ისეთი არ არის, როგორიც გერმანელებისა გერმანიაში. რუსები რუსეთში არ შეადგენენ დიდ უმრავლესობას, მათი კულტურა ვერ სჯობნის პოლონელებისა და სხვა «ინოროდცების» კულტურას და ეკონომიურადაც არ არიან სხვებზე ძლიერნი. როცა რუსეთში კანონიერება დამყარდება, რუსის ხალხს შინაც ბევრი მუშაობა გაუჩნდება და ღმერთმა მას იმდენი ენერგია მისცეს, რომ თავის საქმეებს აუვიდეს. რუსის ხალხმა რომ მოისურვოს კიდეც განაპირა ქვეყნების გარუსება, ამას ვერ მოახერხებს, რადგან ამისთვის საჭიროა თვითნებობა და ძალმომრეობა ბიუროკრატიისა. იმედი მაქვს, რომ რუსეთის მთავრობა ერთ და იმავე დროს ვერ შემოიღებს კონსტიტუციას რუსებისთვის, თუ იგივე უფლებები არ მისცა განაპირა ქვეყნებს. ჩვენ რუსის ხალხს არ ვემტერებით, რადგან ამ ხალხისა არ გვეშინიან. პირიქით, ჩვენ თანავუგრძნობთ მას და ვშველით კიდეც რუსეთის განახლებისა და აღორძინების საქმეში.

ამ წერილმა რუსეთის მემარჯვენე და ზომიერ პრესაშიაც დიდი აყალ-მაყალი გამოიწვია. ლიბერალების ორგანო „სლოვო“, რომელიც მარჯვნივ უდგა „კადეტებს“, პირდაპირ აცხადებს, პოლონელები რუსეთისგან ვერაფერს მიიღებენ. „ნოვოე ვრემია“ კი სწერს:

პანმა დმოვსკიმ და მისმა ამხანაგებმა თავიანთი ადგილი უნდა მოსძებნონ და რუსეთის ხალხს თავი დაანებონ. რუსის ხალხს არავითარი თამასუქი არ მიუცია პოლონელებისთვის, მაშასადამე, პოლონელებიც ვერაფერს მოსთხოვენ მას.

სამაგიეროდ პოლონელებსაც და ჩვენც აუარებელი თამასუქი მოგვცა რუსეთის მთავრობამ, რომელმაც ადრე თუ გვიან ვალი უნდა გადაგვიხადოს.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ბაქო.** ბაქოს სამი წლის შემდეგ ედირსა, როგორც იქმნა, ნამდვილი თავი, რომელიც უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. საბჭოს პირველ კრებაზე ახალმა ქალაქის თავმა რაევსკიმ ჯერ გააცნო დამსწრეთ თავისი წარსული მოღვაწეობა და მერე შეუდგა ქალაქის მდგომარეობის დახასიათებას: უმთავრესი ყურადღება მიაქცია საფინანსო მხარეს, ესე იგი, ბაქოს დავალიანებას, და იმედი წარმოსთქვა, რომ შესაძლოა მისი ფეხზე წამოყენება, უკეთუ ქალაქის გამგეობა და საბჭო—დაეხმარებიან და ერთგულად იმუშავებენ. როგორც სჩანს, ბაქოს დღეს აწევს კისერზე ორ მილიონამდის ვალი და ამ ვალს დღემდის თუ უმატნია, თორემ არ დაუკლია. უმთავრესი მიზეზი ამ დავალიანებისა ისა ყოფილა, რომ უფრო შეძლებულ მოქალაქეებს არ შეაქვთ ქალაქის კასაში გადასახადები. მათ შორის ბევრი თვით საბჭოს წევრიც არის. გარდა ამისა, ბევრ მოქალაქეს ქალაქის ადგილები ჩაუგდია ხელში და დაჰპატრონებია: არც ფულს იხდის და არც ქალაქს უბრუნებს საკუთრებას. ზოგს ვადა გასვლია და ზოგიც სადაოდ გამხდარა. ამას ისიც დაერთო, რომ ამ უკანასკნელ წლებში, საზოგადო არეულობის გამო, ქალაქის თვითმართველობა იძულებულია დიდი ფული დახარჯოს პოლიციისა და ჯარის შესანახად. ამის გამო ქალაქმა შუამდგომლობა აღძრა, მიეცეს მთავრობისაგან ერთი მილიონი შემწეობა (სუბსიდია), მაგრამ არა გვგონია, რომ რაიმე გამოდნეს ამ თხოვნიდან. ერთი სიტყვით, უკეთუ ქალაქმა დიდი სესხი ვერსად იშოვა, არას გზით არ ძალუძს თავის აწეწილ საქმეების გასწორება.

ბაქოში მკვლელობა თუ არ მატულობს, არა კლებულობს: დღე არ გაივლის ისე, რომ მკვლელობა არ მოხდეს ან პოლიტიკურ ნიადაგზე და ან ფულის მოტაცების გამო. დამე თავდასხმასა და ძარცვა-გლეჯას ხომ ანგარიში არა აქვს.

**გ. წულუკიძე.**

## რუსეთი

◆ **ვარშავის უნივერსიტეტი** აგერ მესამე წელიწადია, რაც ვარშავის უნივერსიტეტი დაიკეტა. რუსეთის მთავრობა განაპირა ქვეყნებში ჰკეტავს სასწავლებლებს და მათი ქონება გადააქვს შუა რუსეთში. მან სათათბიროს დაუკითხავად გახსნა პოლიტეხნიკუმი ნოვოჩერკასკში და უნივერსიტეტი სარატოვში, სადაც უნდა გადაიტანონ ვარშავის უნივერსიტეტის მოწყობილობა, მთელი ქონება და გადაიყვანონ პროფესორები. ამ დღეებში მინისტრთა საბჭო [illegible] უბრუნდა ვარშავის უნივერსიტეტის [illegible] იღბალს და დაადგინა, სანამ პოლონეთი სრულიად არ დამშვიდდება, უნივერსიტეტი არ გაიხსნებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ეს უნივერსიტეტი ათ წელიწადსაც არ გაიხსნას. გარდა ამისა, ხმა გავრცელდა, რომ მთავრობა აპირებს უნივერსიტეტის გახსნას მხოლოდ რუსებისათვის.

◆ **შედეგი ერთ უკანონობისა.** ამას წინად ვწერდით, რომ ტამბოვის გუბერნატორმა 500 მანეთით დააჯარიმა ვექილი შატოვი იმის გამო, რომ მან სასამართლოს კრებაზე ცუდად მოიხსენია ტამბოვის პოლიცია. სასამართლოს თავმჯდომარემ პომერანცევმა ეს ამბავი იუსტიციის მინისტრს შეატყობინა. მინისტრმა და სენატმა გუბერნატორის საქციელი უკანონოდ სცნეს და მისი განკარგულება გააბათილეს. ამის შემდეგ ხმა გავარდა, გუბერნატორი სამსახურიდან გადისო, მაგრამ საქმე პირუკუღმა დატრიალდა: ის გუბერნატორი, რომელმაც ცხადი უკანონობა ჩაიდინა, თავის ადგილზე დარჩა, სასამართლოს თავმჯდომარე კი, რომელმაც ეს უკანონობა შეატყობინა მთავრობას, სამსახურიდან დაითხოვეს.

◆ **ტუსაღების დახოცვა.** ტობოლსკის გუბერნიაში, ერთ სოფელში ციმბირში მიმავალმა ტუსაღებმა გაქცევა განიზრახეს და თავს დაესხნენ დარაჯებს. ასტყდა მათ შორის საშინელი ბრძოლა, რომელმაც ორს საათს გასტანა. სალდათებმა მოჰკლეს 22 ტუსაღი, ტუსაღებმა მოჰკლეს ერთი და დასჭრეს ხუთი სალდათი. გაიქცა 11 ტუსაღი, თან წაიღეს 9 თოფი და პატრონები. ხელმწიფე იმპერატორმა წაიკითხა ჟანდარმთა კორპუსის უფროსის მოხსენება ამის შესახებ და ზედ ასეთი რეზოლიუცია წააწერა: „გადაეცეს ჩემი გულითადი მადლობა პოკასანოვსა, სხვა დარაჯებს და ციმბირის სარეზერვო მე-9 ბატალიონის უფროსსა და ოფიცრებს, რომელთაც აღზარდეს ასეთი ყოჩაღი ჭეშმარიტი რუსი სალდათები“.

## წერილი რედაქციის მიმართ

—:—

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენის გაზეთის უმახლობელეს ნომერში.

ძალიან იშვიათად შეჰხვდება მკითხველი გაზეთების ისეთ ნომერს, რომელიც არ გვაუწყებდეს, რომ ამან ეს გალანძღა, იმან ის გალახა და იწვევს სამედიატორო ან საამხანაგო სამართალშიო. ახლანდელ პირობებში ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, ძალიან ხშირია. ოღონდ მოპირდაპირე დაამციროს, შეარცხვინოს, სახელი გაუტეხოს და ასეთ საქციელისათვის პასუხს არ აგებს არავინ სინიდისის წინაშე. ამ შემთხვევაში რედაქცია მოვალეა, ღირსშესაფერი ყურად-

შემდეგ მათი კავშირი იმავე სოციალურ წესით,—ესე იგი ორგანიზაცია კონტრაქტუალისტური, და არა ავტორიტარული; ეს განაცხადა მან თავის ფედერალისტურ მოწოდებაში, და ამიტომ იყო კომმუნა ნამდვილი ფედერალისტური მოძრაობა. ვინ იცის რა გამოვიდოდა ამ მოძრაობიდან, რომ რეაქციას არ მოეღო მისთვის ბოლო.

ერთი მითხარით ეხლა, რა აქვს ყველა ამას საერთო საკანონმდებლო, სარევოლიუციო მთავრობასთან, რომელიც ბატონობს მთელ ხალხს მხოლოდ არჩეულთა გადაწყვეტილების ძალით, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს გადაწყვეტილება, და ამ ნიადაგზედ მუდამ ებრძვის და ჟლეტავს ხალხს თითქმის თავის დაარსების მეორე დღიდანვეო? აი, სწორედ ამიტომაც ვერ წარმოგვიდგენია ჩვენ სოციალურ რევოლიუციის დაგვირგვინება ისე, თუ თვითოეულ ქალაქსა და სოფელში თვით მშრომელმა ხალხმა არ მოაწყო თავისი ცხოვრება თავისსავე ინიციატივით (აქ მათ არჩევნებიც შეუძლიანთ იხმარონ და ჯარიც, ამაში არ არის საქმე, როგორც ნ. ჟ—ნიას ჰგონია!), თუ მან არ შესცვალა არსებული წესი სოციალურ ცხოვრებისა თვითოეულ კომმუნაში და არ შეაერთა საერთო ფედერაციად მთელი ერი, მთელი კაცობრიობა იმავე სოციალურ წესით. როგორც ეკონომიური, ისე იურიდიული თუ პოლიტიკური ცხოვრება ასე უნდა გადასხვაფერდეს, არსებულ საზოგადო დაწესებულებათა მაგიერ უნდა დაარსდეს სხვა დაწესებულებანი, რომელნიც თავისუფალ კონტრაქტზედ იქნებიან დამყარებულნი; წარმოების კომმუნიზაციურად მოწყობიდან დაწყებული ინტერნაციონალურ მოწეს-რიგებამდე—ყველა სოციალური ორგანო ამ კონტრაქტუალიზმის პრინციპზედ უნდა აეგოს; ეს იქნება სოციალურ რევოლიუციის ტრიუმფი. ყოველივე სხვა წესი სოციალურ ცხოვრებისა თუ დარჩა—ეს ან იმას ნიშნავს, რომ სოციალური რევოლიუცია არ დამთავრებულა, ან იმას, რომ სწორედ თქვენმა „რევოლიუციონურმა მთავრობამ“ გაამეფა რეაქცია და დაამარცხა რევოლიუცია.

ამიტომაც ჩვენ ვცდილობთ სწორედ იმ სინდიკალიზმის წყალობით, რომელსაც თქვენ ითვისებთ, ეხლავე მოვამზადოთ სოციალურ რევოლიუციის მომხდენელი ელემენტი, მომავალ საზოგადოების აღმშენებელი, რომ სოციალურ რევოლიუციის დროს თვითოეულმა სინდიკატმა იცოდეს ქარხნის მოწყობა ექსპროპრიაციის შემდეგ, თვითოეულმა შრომის ბირჟამ თავს იდვას კომმუნის გამოცხადების ინიციატივა, მთელმა ეროვნულმა კონფედერაციამ თავს იდვას ამ კომმუნების შეკავშირება და სხვა. ჩვენ ეხლავე ვქმნით მომავალ საზოგადოების მოდელს—ეს არის საერთო შრომის კონფედერაცია თავის ორგანოებით, საიდანაც ავტორიტეტი განდევნილია და სადაც კონტრაქტია გამეფებული; მომავალი საზოგადოებაც ასეთ ორგანოს მქონე უნდა იყოს, და ასეთი საზოგადოების აშენება თავს უნდა იდვან სწორედ ასეთმა კონფედერაციებმა. ასე ჰფიქრობდა თვით „ინტერნაციონალი“, სადაც ცენტრალიზმის ბაცილა მარქსისტებმა შეიტანეს; ასე ვფიქრობთ ჩვენც, ასე ვმუშაობთ და ტრაბახი რა საჭიროა—ასეთი მუშათა ორგანიზაციები სულ იყიდიან თავიანთის მნიშვნელობით ყველა წარსულ, აწმყო და მომავალ „პარტიებს“.

რევოლიუციის ასეთ კონცეპციის მქონეთათვის რა შუაშია „დიქტატურა“, „პარტია“, „სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება“ (რომელიც სწორედ უნდა მოისპოს და არა აყვავდეს)—ისიც კიდევ პარტიის მიერ! რა შუაშია ეს ასის წლის ნაცადი იარაღი ბურჟუაზიისა, რომელმაც რეაქციის მეტი თავის დღეში არა მოიტანა რა საზოგადოებაში! არა, ბ-ნო ნ. ჟ—ნია, დრონი იცვალნენ, ეხლა სულ სხვა წესებია „ორგანიზაციისა“, სულ სხვა კონცეპციაა რევოლიუციისა; მარტო იმის ძახილი, რომ კლასსთა ბრძოლის უმწვერვალესი ხარისხია რევოლიუციაო, საკმარისი აღარ არის. იმ დემოკრატიულმა სიცრუემ, რომ ერთი პარტიის ან კლასსის მიერ ხელში ჩაგდება სახელმწიფო ძალისა არის რევოლიუციის ტრიუმფი, მოსჭამა თავისი დრო. იგი ეხლა ისტორიას ეკუთვნის, იგი მხოლოდ ველურ რუსეთში თუ ხეირობს ეხლა, რომელიც მე-XVIII საუკუნის ბოლოს მსგავს ხანაშია. ეხლა რევოლიუცია მიაჩნიათ, როგორც სრული მოსპობა არსებულ სოციალურ ცხოვრების წესისა და ახლის შექმნა; ეხლა რევოლიუცია—ავტორიტეტის მაგიერ კონტრაქტის გამეფებაა; ეხლა რევოლიუციისათვის თვით ხალხი, თვითოეული მუშა ემზადება, რომ წინ და წინ იცოდეს, რა ჰქნას რევოლიუციის დროს; ეხლა რევოლიუციის ეგრედ წოდებული ორგანიული კონცეპცია იკიდებს ფეხს მუშათა შორის; ეხლა ასეთ რევოლიუციისათვის ემზადებიან. ანარქისტული რევოლიუცია „ალბად“-ზე არ არის დამყარებული. კარგად გადაიკითხეთ კიდევ ჟან-გრავისა და, განსაკუთრებით, კროპოტკინის წიგნები და მაშინ მიჰხვდებით, თუ რას ნიშნავს მათი „თავის ნებით მუშაკნი“, „მოხალისენი“, ქუჩებისა, უბნებისა, სოფლებისა და ქალაქების თავისუფალი ორგანიზაციები და სხვა, რომლებიც „ალბად“ შესდგებიან რევოლიუციის დროს. ეს „ალბად“ მთელ რევოლიუციათა ცდაა, მათი დადებითი, შემოქმედებითი მხარე, სარევოლიუციო მთავრობა და დიქტატურა კი—უკუთქმითი მხარეა რევოლიუციათა, რეაქციის მომტანი, 9 თერმიდორის წინამძღოლია და კავენიაკის ნავარდი პარიზის ქუჩებში! კროპოტკინი რად გინდათ—თვით „ბურჟუა“ ოლარი წაიკითხეთ, იქაც ბევრ ასეთ მაგალითს ნახავთ, ამის დამტკიცებელ საბუთებს, რაც მარტო დიდ რევოლიუციას შეეხება.

ან კი რად გინდათ ყოველივე ეს, განა გურია ცხვირის წინ არა გქონდათ? მაგრამ რა უნდა ველაპარაკო ისეთ ადამიანს, რომელსაც რევოლიუცია ჰგონია: „როცა ყველა კლასსი, მთელი საზოგადო ძალა, მთელი ცხოვრება თავის კალაპოტიდან გამოდის და **ღრიჭინით** (!) აქეთ-იქით ეხეთქება, როცა ყოველივე ირღვევა და იშლება“ და სხვ. (გვ. 143) რაღაც „ღრიჭინებს“, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, თქვენ თავში, თორემ „ღრიჭინი“, „მტვრევა“, „მსხვრევა“, „დაშლა“, „ხეთქება“, „კალაპოტიდან გამოსვლა“, „რღვევა“ და სხვა—ეს რა ცნებებია! მაგ ცნებებით, „მეცნიერების სახელით“, მკითხველის სასაცილოდ აგდება რა საკადრისია!

თანამედროვე სინდიკალიზმი, სადაც ანარქისტები მუშაობენ დიდი ხანია, მუშაობნენ ეხლაც და მუდამ იმუშავებენ,—სინდიკალიზმი, რომელიც სწორედ იმითაა, სხვათა შორის, შესანიშნავი რომ იგი **მტერია „პარტიათა“**; იგი არის იმავე დროს შთანაჩენი იმ ელემენტისა, რომელმაც უნდა მოახდინოს ზემოხსენებულ ხასიათის რევოლიუცია, შეჰქნას მომავალი ანარქიული საზოგადოება. მაგრამ ბ-ნი ნ. ჟ—ნია მას სოციალ-დემოკრატიის „ხორცი-ხორცთაგანს“ უწოდებს, მას იგი ს. დ. პარტიის **კუდიც** ჰგონია, და ისეთის რიხით ლაპარაკობს, რომ, გეგონებათ მისი შექმნილიაო. აბაამასა ჰქვიან, საიდან სადაო, წმინდაო საბაო!

მაგრამ სამი **რამ** მაინც ახასიათებს იმის წიგნის ამ ნაწილს. ერთი—პირდაპირა სჩანს იმის სტატიაში: თვით ძალიან კარგად იცის, რომ ისაკუთრებს იმას, რაც არ ეკუთვნის; მეორე საშინელი კადნიერება,—რადგან ამ შემთხვევაში კაცი საშინელი კადნიერია ხოლმე: ნ. ჟ—ნია იქამდის გაკადნიერებულა, რომ პუჟეტეც ს.-დ—ად გამოჰყავს,—ეს Père Peutard-ის ძველი გამომცემელი! ეს იმას ნიშნავს, მე რომ ნ. ჟ—ნია ოქტომბრისტად გამოვიყვანო! აქედამ გამომდინარეობს მესამე დამახასიათებელი მხარე იმის წიგნის ამ ნაწილისა—ბ-ნი ნ. ჟ—ნია ძალას ატანს ისტორიას, ძლიერ, ისე ძლიერ, რომ ს.-დ—საც ეჭვი შეეპარება. აი ეს ისტორია, ნ. ჟ—ნიასაგან მოთხრობილი. მართალი გითხრათ, ნ. ჟ—ნია ისე გაკადნიერებულა, რომ ამ თავის მიერ შეთითხნილ ისტორიას ლაგარდელის მიერ მოთხრობილ ისტორიას ეძახის, და პირშავად სტყუის, რასაც ეხლავ დავამტკიცებთ.

(შემდეგი იქნება). Bâton.

ღება მიაქციოს საქმეს და ყოველ მხრივ ასწონ-დასწონოს იგი; ასეთ შემთხვევაში საჭიროა მიუდგომლობა, მაგრამ, საუბედუროდ, ჟურნალ „ცისკარს“ და იმის კორესპონდენტს ეს პირობები არ მიუღიათ მხედველობაში და უკანასკნელს როგორც გაუგონია, ისე მოუთავსებია მე-5 №-ში ბ-ნ სილოვან ხუნდაძის შესახებ, ნახევრად ყალბი, სინამდვილეს მოკლებული წერილი «მეკრივე მასწავლებლის“ სათაურით. რადგან რედაქცია შეცდომაშია შეყვანილი, ჩვენ, მოსწავლეებმა, საჭიროდ ვცანით საქმე დაწვრილებით განგვემარტა. აი საქმის ვითარება:

12 ოქტომბერს ქ. ქუთაისის სათ.-აზნაურთ გიმნაზიაში მოხდა უკმაყოფილება მე-VIII კლასის მოსწავლეს გრ. კ—ძესა და სილოვან ხუნდაძეს შორის. გრ. კ—ძე უფორმოდ დადიოდა როგორც გიმნაზიაში, ისე გიმნაზიის გარედ. ბ-ნმა სილოვანმა რამდენჯერმე დაავალა ამხანაგების პირით ფორმის ტარება, მაგრამ გრ. კ—ძე ფორმას მაინც არ ატარებდა და უთხრა ბ. სილოვანს, „მე ამით არაფერს ვახდენო». მაშინ ამით გათავდა საქმე. ბ-ნ სილოვანს ჩვეულებად ჰქონდა და აქვს ახლაც, რომ დასვენების დროს მოწაფენი კლასში არ დასტოვოს; მას სრული უფლება ჰქონდა კიდეც მოეთხოვა ჩვენგან ამ წესის ასრულება, რადგან ამას სასწავლებლის წესდება შეიცავს; ეს წესდება კი ჩვენ შევიმუშავეთ მასწავლებლებთან ერთად. 12 ოქტომბერს ბ-ნი სილოვანი, ჩვეულებისამებრ, შემოვიდა მე-VIII კლასში და მოსწავლეებს გვთხოვა, გავსულვიყავით გარედ. ამ დროს გრ. კ—ძე კლასში იყო; როცა ბ-ნმა სილოვანმა დაინახა იგი, მივიდა და ჩვეულებრივის კილოთი ჰკითხა: „გრიგოლ! შენ კიდევ ჯიუტობ და არ შეასრულე ჩემი მოთხოვნაო?!“ გრ—მა ამაზე იგივე უპასუხა, რაც პირველათ და ამასთან, როგორც მას ჩვეულებად აქვს, ხელები გადაუშალა. ბ-ნმა სილოვანმა, ალბად, ეს სხვანაირად მიიღო, რადგან არ იცოდა გრ—ს ჩვეულება, და ხმა აუმაღლა. გრ—მაც აუმაღლა ხმას და როცა ორივეს გული მოუვიდა, ორივეს მხრივ რამდენიმე არა სასურველი სიტყვა ითქვა. ბოლოს ბ-ნმა სილოვანმა მოჰკიდა მკლავში ხელი გრ—ს და წაუჯიკავა. ეს იყო და ეს. არავითარი „თხლეშა“, როგორც სწერდა «ცისკარი», არა ყოფილა.

ჩვენ ამ ინციდენტმა აგვაღელვა და დავადგინეთ, რომ ბ-ნ სილოვანს ჩამორთმეოდა მეთვალყურის (надзиратель) როლი. ეს იმიტომ მოვითხოვეთ, რომ ჩვენ ვხედავდით: არასოდეს მოსწავლენი არ იცავდნენ წესრიგს და რადგან ბ-ნი სილოვანი თავდარიგიანი (аккуратный) კაცია (ასე იცნობს მას მთელი ქუთაისიც), ვერ ითმენს, როცა წესრიგი ირღვევა და ეს აღელვებს მას; რადგან ჩვენ გვინდოდა კეთილი განწყობილება ჩვენსა და ბ-ნ სილოვანს შორის არ დარღვეულიყო და რადგან ასეთ განწყობილების დამრღვევ მიზეზად ჩვენ ვთვლიდით იმის თანამდებობას, მოვითხოვეთ ჩამოშორებოდა ადმინისტრატიულ, წვრილმან, საკინკლაო საქმეებს, რომელიც მას ებარა. აი ეს მოვითხოვეთ ჩვენ და არა ინსპექტორის თანაშემწის თანამდეობის ჩამორთმევა, როგორც სწერდა „ცისკარი“.

მეორე ჩვენი მოთხოვნა იყო, თუ ბ-ნი სილოვანი სცნობდა თავის თავს დამნაშავედ დაეკმაყოფილებინა გრ. კ—ძე. სილოვანმა, როგორც მოსალოდნელი იყო იმისაგან. ეს ჩვენი მოთხოვნა სამართლიანად სცნო და გამოაცხადა, რომ „მე დამნაშავედ ვცნობ ჩემს თავს ჩემის მოქმედების მეორე ნახევარშიო (როცა გული მოუვიდა მერე). რაც შეეხება პირველს (რომ გრ. კ—ძეს სთხოვდა წესრიგის დაცვას) მე არა ვარ დამნაშავეო“. ამასთან განაცხადა, რომ „მე გინდა ვასრულებდე ზედამხედველის, მეთვალყურის როლს, გინდ არა, სანამ მე აქ მასწავლებლად ვარ, არ შემიძლიან, ვინც უნდა იყოს, არ შევნიშნო, თუ კი წესიერებას დაარღვევსო“. ჩვენ ეს სიტყვები მივიღეთ მხედველობაში და ჩვენი რეზოლიუციის პირველი მუხლი დავიბრუნეთ.

როგორც მკითხველი ჰხედავს, აქ ერთი კრინტიც არ არის დაძრული იმაზე ჩამოერთვას ბ-ნ სილოვან ინსპ. თანაშემ. თანამდეობაო. რედაქცია ჟურნალ „ცისკრის“-ა ამ მხრივათაც შეცდომაშია შეყვანილი.

აი როგორ იყო საქმე და აი რა განსხვავებაა „ცისკრის“ კორესპონდენციასა და სინამდვილეს შორის. ამასთან ძლიან გვიკვირს, რით ხელმძღვანელობდა ის ამხანაგი ან არა ამხანაგი, რომელმაც ჩვენი სურვილის წინაალმდეგ ეს საქმე საჟურნალ-გაზეთოდ გახადა.

ქ. ქარ. სათ.-აზნ. გიმ. მე-VIII კლასის მოსწავლეთა მინდობილობით **კოწია ლომინაძე, აკ. თუარაძე, შოთა დადიანი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი**

**25 ოქტომბერი**

**პეტერბურგი.** სენატის მეორე საკასაციო დეპარტამენტში გურკოს საქმის შესახებ გაათავეს მოწმეთა გამოკითხვა. წინად ჩამოთვლილთა გარდა ჩვენება ჩამოართვეს: გადასახადთა დეპარტამენტის დირექტორს ვიშნიაკოვს, ხაზინის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორს ნიკოლაენკოს, რკინის-გზათა მთავარ გამგეობის საექსპლოატაციო ნაწილის უფროსს კრივერს, ელევატორის მარშალს ვეტჩინინს, პურის ვაჭრებს: გრინგბურგს, პოპენკოვს და ოსმინინს. სასამართლოს გამოძიება დამთავრდა. 25 ოქტომბერს კამათს დაიწყებენ.

**კალუგა.** რიაზან-ურალის რკინის გზის კასირმა განაცხადა, რომ კასიდან ვიღაცამ 5,935 მანეთი წაიღოო. ეჭვობენ, რომ თითონ კასსირმა წაიღო.

**მინსკი.** კიევიდან მოსულ გემიდან ჩამოიყვანეს ორი ხოლერიანი.

**ორენბურგი.** კოჩკარის მადნებში ხელახლა ავად გახდა ერთი კაცი.

**26 ოქტომბერი.**

**უმანი.** ორი ებრაელი, ქალი და კაცი სასტუმროში ჩამოხტნენ. ღამე ამოსჭრეს იატაკი, ჩავიდნენ მირს ოქროულობის მაღაზიაში, ცეცხლისაგან უზრუნველ-ყოფილი კასა გასტეხეს და 18,000 მანეთად ღირებული საქონელი წაიღეს.

**ეკატერინოსლავი.** ბახმუტის მაზრაში კონსტანტინოვკის მახლობლად ვიღაც ბოროტ გამზრახველები დაეცნენ რკინის ქარხნის მეარტელეს, რომელსაც ერთი აგენტის და ორი სტრაჟნიკის თანხლებით 20,000 მანეთი მიჰქონდა. მეარტელე და სტრაჟნიკი დასჭრეს. ბოროტ-გამზრახველებმა მოიტაცეს 700 მანეთი. ორი მათგანი შეიპყრეს, ერთი მძიმედ არის დაჭრილი. შეპყრობილთ 300 მანეთი აღმოაჩნდათ.

**რეველი.** ქარხანა „დვიგატელ“-ში შეიპყრეს ერთი მუშა, რომელმაც 11 აგვისტოს მოჰკლა ინჟენერი კრუსსი. ქარხანას ჯარი და პოლიცია შემოარტყეს.

**ლიბავა.** როსტოვსკის პრობკების ქარხანაში აღმოაჩინეს გატენილი ყუმბარა და ბევრი არა ლეგალური ლიტერატურა. დააპატიმრეს ოთხი მუშა.

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრმა შეადგინა 1908 წლის სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. მინისტრის აზრით შემოსავალი ჩვეულებრივ უნდა იქმნეს 2318 მილიონი მანეთი. ჩვეულებრივი გასავალი 2317 მილიონი, არა ჩვეულებრივი შემოსავალი 7 მილიონი, არა ჩვეულებრივი გასავალი: ომიანობისა და მისი შედეგის ლიკვიდაციისთვის 67 მილიონი, რკინის გზებისთვის 59 მილიონი, მოუსავლობისა გამო დაზარალებულთა დასახმარებლად 8 მილიონი, რკინის გზების საზოგადოების დახმარება 7 მილიონი, პროპორციონალური ადგილების გამოსყიდვა 4 მილიონი, მოკლე ვადიანი სესხის გასტუმრება 53 მილიონი, სულ 198 მილიონი მანეთი, რომელიც უნდა შესდგეს: ჩვეულებრივ შემოსავლის დანარჩომი ერთი მილიონით, არა ჩვეულებრივ 7 მილიონით და 190 მილიონ საკრედიტო ოპერაციით.

გურკოს საქმეზე კამათი დაიწყო, პირველად ილაპარაკა ობერ პროკურორმა ფონ-კემკემ, რომელმაც მოითხოვა გურკოს დასჯა 341 და 411 მუხლების ძალით. დამცველმა კაზარინოვმა მოითხოვა გურკოს გამართლება, რადგან არავითარი გამამტყუნებელი საბუთი არ არისო. სხდომის ცოტა ხნით შეწყვეტის შემდეგ გურკომ დაწერილი რვეული ხელში დაიჭირა და თავისს უკანასკნელ სიტყვის კითხვა დაიწყო.

იუსტიციის მინისტრს მინისტრთა საბჭოში განსახილველად ახალი კანონ-პროექტი შეაქვს. ამ პროექტით ცოლ-ქმართ უფლება მიენიჭებათ ცალ-ცალკე ცხოვრებისა. კანონ-პროექტს სახ. სათ. წარუდგენენ.

**ხონსიოგიცი.** პატარა სადგურ ბრისეკასთან ერთი საქონლის მატარებელი მეორეს დაეჯახა. დამავდა ორი კონდუქტორი, 3 ორთქლ-მავალი და 12 ვაგონი დაიმსხვრა.

**ხელავიანსკი.** 10 შეიარაღებული კაცი დაეცა საარყე დუქნების ფულის ამკრეფს, წაართვეს 17,000 მანეთი.

**პეტერბურგი.** ორი საათის თათბირის შემდეგ სენატმა გურკოს საქმის შესახებ განაჩენი გამოიტანა, გურკო დამნაშავედ სცნეს იმაში, რომ ხაზინის სახელით პირობით შეკრა შვეციის ქვეშევრდომს ლიდვალს, რომელსაც 10 მილიონი ფუთი ხორბალი უნდა მყიდნა დამშეულებისთვის. გურკოს არ გამოუკვლია რა კაცი იყო ლიდვალი და შეეძლო თუ არა ასეთ დიდ საქმის შესრულება, ხელ-შეკრულობის პროექტი გამოსაკვებ საქმეთა კერძო სათათბიროში არ შეიტანა და ამას გარდა „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ში შეუმოწმებელი და ტყუილი ცნობა ოფიციალურად მოათავსა, რისთვისაც სამსახურიდან უკვე გადაყენებულ იქმნა. ახლა კი სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან გადაყენებულს გურკოს უფლება ესპობა სამის წლის განმავლობაში. გადაყენების დღიდან, შევიდეს რამე სახელმწიფო, ანუ საზოგადო სამსახურში.

**ბელგოროდი.** თავისს სახლში სასიკვდილოდ დასჭრეს ბარონი როზენი, ბარონესა მოჰკლეს. მკვლელი ბარონესას შვილობილია. ბოროტ-მოქმედების ჩადენის შემდეგ იგი გაიქცა სოფ. ნაუმოვკიდან, სადაც სცხოვრობდა ბარონი.

**ანანიევი.** ანანიევის მაზრის სოფ განსკაში მხეცურად მოჰკლეს ცოლ-ქმარი ჩორნები.

**მოსკოვი.** საერობო ორგანიზაციამ 15,000 მანეთი გადასცა სმოლენსკის გუბერნიის დუხოვშჩინის მაზრის დამშეულთა სასარგებლოდ.

**უფა.** საგლეხო ბანკმა სალიკვიდაციოდ გასცა 48 მამული, 75,000 დესეტინა. ბანკმა შეიძინა კიდევ 6 მამული, 12,000 დესეტინა, აზრად აქვთ შეიძინონ 8 მამული, ზომით 21,000 დესეტინა. საუფლისწულო მამულიდან გასცემენ დაახლოვებით 80,000 დესეტინას.

**მინსკი.** მინსკის მაზრაში დაეცნენ ვიღაც დობჟევიჩის სახლს. სახლში მყოფი 2 ქალი და 5 მცირეწლოვანი ბავშვი სასიკვდილოდ დასჭრეს. გაიტაცეს 478 მანეთი და ძვირფასი ნივთები.

**კამენეც-პოდოლსკი.** მოგილევსკის მაზრის სოფ. კაცმაზოვში ამოხოცეს გარტმანის მთელი ოჯახი.

**ხერსონი** ხოლერით ავად გახდა 4.

**კიევი.** ავად გახდა 11, გარდაიცვალა 5, მორჩა 12, დარჩა 198.

**ბალტა.** ბალტის მაზრის ბოგობოლეში მოჰკლეს ურიადნიკი.

**სიმფეროპოლი.** სოფ. ვერხნაია ბერეზოვკაში მოჰკლეს რუსთა კავშირის თავმჯდომარე მილო.

**ჩერნიგოვი.** გლუხოვში აღმოაჩინეს სრევოლიუციონერების სტამბა, წაიღეს შრიფტი, აწყობილი და აუწყობელი; პროკლამაციები, ბიბლიოთეკა. საპასპორტო ბლანკები. დააპატიმრეს ორი ებრაელი, რომელნიც იქ მუშაობდნენ.

**სამარყანდი.** ადგილობრივ გაზეთის „რუსსკაია ოკრაინი“-ს თანამშრომელი საგანგებოდ წასულა სამარყანდიდან კარატაგში და იუწყება, რომ კირატაგში ქვაქვაზე არ დარჩენილაო. მომკვდარა 3,400 კაცი, გადარჩენილა მხოლოდ 70 კაცი. კარატაგის ახლო-მახლო სოფლები თურმე დანგრეულია, მკვდარი ბევრია. 18 ოქტომბერს გისარის საბეკოში ქალაქი კაფირნაგანიც დაქცეულა. დერბანტის მთაზე გაზეთის თანამშრომელს მაგნიტური ქარიშხალი შეუმჩნევია.

**ჩერნიგოვი.** სამხედრო სასამართლომ ორ კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. იმათ აბრალებდნენ მღ. ანდრეევსკის სახლზე თავ-დასხმას.

ნოვოზიბკოვში ხოლერით ავად გახდა 2, კროლევცისაში 2, გუბერნიაში გარდაიცვალა 1.

**ტომსკი.** ნოვონიკოლაევსკში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1.

**კურსკი.** სუჯანის მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2, მორჩა 2.

**დონის-როსტოვი.** ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1.

**ვლადივოსტოკი.** კომენდანტის ბრძანებით, გარეშეთათვის აღკრძალულია მიახლოვება ფორტებისა, ბატარეებისა, ყაზარმებისა, აგრეთვე, სამხედრო ფოსტის ტერიტორიის და სახელოსნოების ახლო მახლო ადგილებისა. ოფიცრებსა და მოსამსახურეებსაც უბილეთოდ არ შეუძლიანთ შესვლა. ნავთ სადგურის მუშებს რეგისტრაცია გაუკეთეს. დააწესეს დროებით სანავთ სადგურო ჟანდარმთა პოლიცია. ამ დადგენილების დამრღვევნი სასტიკად დაისჯებიან. გამოვიდა აგრეთვე ბრძანება, რომ სანამ მუშები სრულებით არ დაწყნარდებიან, სახელოსნოების გახსნა შეუძლებელია.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს დადგენილებით რკინის გზათა საპენსიო და შემნახველ-დამხმარებელ კასების დროებითი წესდება უცვლელადვე რჩება ახალ დებულების გამოცემამდე. გზათა მინისტრს უფლება აქვს გაავრცელოს კერძო რკინის გზებში ეს წესდება და თუ მოისურვებენ ახალი პროექტის წარმოდგენას სახ. სათათბიროში გადასაცემად, პროექტი უნდა წარმოუდგინონ მინისტრთა საბჭოს 1909 წლის 1 იანვრამდე.

**ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი.**

**კიევი.** დეპუტატად აირჩიეს ლუჩიცკი, კადეტი.

**ურალსკი.** კაზაკებმა აირჩიეს ერემინი კადეტი—ექიმი.

**კრასნოიარსკი.** ხმის უმეტესობა ვერავინ ვერ მიიღო. ხელ-ახალი არჩევნები მოხდება 28 ოქტომბერს.

**ოდესსა.** მეორე კურიაში აირჩიეს ნიკოლსკი—კადეტი.

**სმოლენსკი.** აირჩიეს სკალოზუბოვი, დზიუბინსკი, მოლოდცოვი, გლეხი—პროგრესისტები.

**ნიკოლსკ-უსურიისკი.** აირჩიეს შილო—უპარტიო მემარცხენე.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

**25 ოქტომბერი.**

**ლონდონი.** როგორც ოფიციალურად იქნა გამოცხადებული. ბოლო მოეღო კონფლიქტს რკინის გზაზე. რკინის გზის საზოგადოებანი და მოსამსახურენი შეთანხმდნენ ამ ნაირად: საზოგადოებანი და მოსამსახურეთა კავშირების წარმომადგენელნი თანახმანი არიან სამედიატორო სასამართლოს შემწეობით მოაწესრიგონ საკითხები ქირისა და სამუშაო დროს შესახებ. ყოველ საზოგადოების მოსამსახურენი დაიყოფებიან განყოფილებებად. თვითეული განყოფილება აირჩევს თავის დელეგატებს იმ კამერებში, რომელსაც საზოგადოებანი დაარსებენ. თვითეული კამერა განიხილავს იმ საკითხებს, რომელიც შესაფერ განყოფილებას ეხება. თუ კამერები სადაო საქმეს მორიგებით ვერ გაათავებენ, ეს საქმე გადავა ცენტრალურ კამერაში, რომელიც უნდა შესდგეს ყველა საზოგადოებაში ცალკე. თუ აქაც საქმე ნაყოფიერად ვერ გათავდა, იგი გადაეცემა სამედიატორო მოსამართლეებს. მედიატორები არჩეულ უნდა იქმნენ რკინის გზის საზოგადოებათა გამგეობის და მოსამსახურეთა შეთანხმებით. თუ ეს შეთანხმებაც ვერ მოხერხდა, მაშინ მედიატორებს ირჩევენ ქვედა პალატის სპიკერი და სავაჭრო სამინისტროს არხივის დირექტორი.

**26 ოქტომბერი.**

**შანხაი.** ჩინეთის საფოსტოს მთავარმა გამგეობამ დაიჭირა იაპონელების მიერ ტიანძინიდან მუკდენში გაგზავნილი პაკეტები, რომლის გაგზავნა იაპონელებმა ჩინურ ფოსტის გარეშე განიზრახეს.

**სალონიკი.** ბოლო დროს იშტიბსკის ოლქში ბოლგარელთა რაზმმა მოჰკლა 12 კაცი. მოკლულთა შორის 3 ოსმალოა; ერთი ოსმალო დაიჭრა.

**სალონიკი.** მაკედონიაში რაზმელთა მოქმედების გაძლიერებისა გამო პარტიამ სერიოზულის წინადადებით მიმართა ათინის, ბელგრადის და სოფიის მთავრობებს.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ბელიაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

**(15 ოქტომბრიდან)**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრო № 7 დილის 10 საათზე (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, № 3 დილის 8 ს. 17 წ. (9 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო № 5 საღამოს 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სწრაფი № 8 საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 8 ს. 43 წ. (9 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 6 ს. 55 წ. (7 ს. 53 წ.)

**ყარს-ერევნისაკენ:** 1) საფოსტო ღამის 12 ს. 10 წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბათუმიდან:** 1) სამგზავრო № 8 საღამოს 11 ს. (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 51 წ. (8 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 6 ს. 25 წ. (7 ს. 23 წ.).

**ბაქოდან:** 1) სწრაფი № 7 დილის 9 ს. 28 წ.; (10 ს. 26 წ.); 2) საფოსტო, № 3 დილის 7 ს. 26 წ. (8 ს. 24 წ.); 3) სამგზავრო, № 5 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.).

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, ნაშუადღევის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 2) სამგზავრო, საღამოს 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.).


## განცხადებანი

მასწავლებელთა

**საყურადღებოთ!**

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კაპ.

ამ დედანთან სახ'არებელი

**რვეულები 1 და 2 № 3 კაპ.**

„არითმეთიკული კრებული“

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ.

„მეორე ნაწ. კრებულისა“ (მისივე) 40 კ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები. მსურველს ფას დადებითაც გაეგზავნება. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

მაღაზიის პატრონი, სოსიკო მერკვილაძე. (20—13)

გამოვიდა და დარიგდა გასასყიდად შილერის თხზულება

**ფიესკო**

ათი დიალოგი, ავტორის სურათით. თარგმანი ია ეკალთაძე-ეკინცაძისა.

წიგნი იყიდება: ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში (და ზოგიერთა სხვა მაღაზიაშიაც); ბაქოში—რევაზ ფავლენიშვილთან; გორში—არჩუაძესთან; ჭიათურაში—დეკანოზიშვილთან; ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთ“-ში.

ვთხოვთ ფოთისა და ბათუმის წიგნის მაღაზიებს, მიჰმართონ „იმერეთი“-ს მაღაზიაში კვიცარიძეს. სხვა ადგილებიდან უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიას ან კიროჩნი ქუჩაზედ (№ 11) ს. ბერძნიშვილს ვინც ას ცალს ნაღდად იყიდის, 30% დაეთმობა; კამისიით 20%. თითო წიგნი ღირს 30 კაპეიკად. (0—6.—6)

**იყიდება**

ორ-სართულიანი სახლი თავის სარდაფით. სახლი შეიცავს თოთხმეტ (14) ოთახს. სახლი კუთხეშია. პირველი საპოლიციო ნაწილში, მლეცკი ვიწრო ქუჩაზე, № 68. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სახლის პატრონს (4—391—1)



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

**საჭიროა**

**თანამშრომელნი ორისა ვე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსათვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—75)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. **«ამბოხება გაზეთისა»**, 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. **«საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია»**, ი. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. **«ქართლის ცხოვრება»**, მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . 3 მ.
4. **«საბერძნეთის ძველი ისტორია»**. ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. **«რომაელების ძველი ისტორია»**, თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. **«ფიზიკური გეოგრაფია»**, ს. იაშვილისა . . . . . . . . . . 20 კ.
7. **«მასალები საქართველოს ისტორიისათვის»**, . . . . . . . . . . 1 მ.
8. **«საქართველოს ისტორია»**, მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . 1 მ.
9. **«მთიულეთი»**, (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . . 40 კ.
10. **«ცისარტყელა»**, სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი სტიაგის» გამოცემა . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.
14. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ი. ჯავახიშვილისა . . . . 40 კ.
15. Судьбы груз. церкви. I-ое добавленіе . . . . . . . . . . 5 კ.
16. სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ მე-18 საუკ., გამოც. წერა-კითხვის საზოგადოების, რედაქცია ექ. თაყაიშვილისა. . . . . . . 2 მან.

**ნამდვილი კახური ღვინო**

ძმობა




საუკეთესო შინაური

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—99)